



პიროვნებისა და სოციუმის დაპირისპირება პოსტმოდერნისტულ
ლიტერატურაში ენტონ ბერჯესის „მექანიკური ფორთოხლისა“ და კენ
კიზის „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდას“ მიხედვით

არიანა ობოლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(მიმართულება: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბელა წიფურია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

არიანა ობოლაძე

29.06.2022

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია პიროვნებისა და სოციუმის დაპირისპირება პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში ენტონ ბერჯესის „მექანიკური ფორთოხლისა“ და კენ კიზის „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდას“ მიხედვით. მკაფიოდ არის წარმოჩენილი და გააზრებული აღნიშნული საკითხის მიმართება ტოტალიტარულ რეჟიმთან. კერძოდ, პიროვნებისა და სოციუმის დაპირისპირების ერთ-ერთ რელევანტურ მიზეზად მიჩნეულია ტოტალიტარული რეჟიმი. განხილულია თუ რამდენად დიდ როლს ასრულებს ის ადამიანთა ცნობიერებაზე და ცხადყოფს სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური ტრავმების შედეგებს.

სამაგისტრო ნაშრომში განხილული პოსტმოდერნისტული რომანების ტექსტუალური ანალიზის საფუძველზე, წარმოჩენილია ერთპიროვნული მმართველობის მიერ ჩამოყალიბებული ტოტალიტარული რეჟიმის სახე, რომელიც საზოგადოებაზე მაქსიმალური კონტროლის მოპოვებას ცდილობს.

ნაშრომში, ასევე, განხილულია არსებული რეჟიმის ფონზე ინდივიდის თავისუფალი ნებისა და აზროვნების შეზღუდვის მეთოდები. აგრეთვე, კოლექტივიზმის დომინანტურობისა და სოციუმის ცხოვრებაზე მეთვალყურეობის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ტოტალიტარული მმართველობა, იდენტობის კრიზისი, კოლექტივიზმის დომინანტურობა, ტრავმა, კონტროლი.

Abstract

The master's thesis discusses the confrontation of personality and society in postmodern literature according to Anthony Burgess "A Clockwork Orange" and Ken Kesey „One Flew Over the Cuckoo's Nest". The relation of this issue to the totalitarian regime is clearly presented and understood. In particular, the totalitarian regime is considered to be one of the relevant reasons for the confrontation between the individual and the society. The thesis discusses the great role the regime plays in human consciousness and reveals the consequences of social, cultural or political trauma.

Based on the textual analysis of the postmodernist novels discussed in the master's thesis, the face of the totalitarian regime is presented. This image is established by a monopoly government that tries to gain maximum control over the society.

The paper also discusses methods of restricting an individual's free will and thinking in the face of the current regime, the issues of the dominance of collectivism and the oversight of the life of society.

Key words: totalitarian rule, identity crisis, dominance of collectivism, trauma, control.

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, ასევე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს იმისთვის, რომ საშუალება მომეცა მესწავლა მაგისტრატურის საფეხურზე. აგრეთვე, დიდ მადლობას ვუხდი ჩემი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ ბელა წიფურიას იმისთვის, რომ დამეხმარა და შემარჩევინა ნაშრომისათვის საკვლევო თემატიკა და მეთოდოლოგია.